პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 3 (13685)

ოთხშაბათი, 4 იანვარი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის მეორე წლის დღეები

ზუგდიდელი მშრომელები ხელიდან არ უშვებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს. მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, შემოკავება, სადრენაჟო ქსელის წესრიგში მოყვანა, ხავაზაფხულო კულტურების დასათესად თესლის მომზადება.

იანვრის დღეებში ბეჯითად მუშაობენ სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში", კორცხელის, ინგირის, ჭაქვინჯის, ცაიშის, ჯიხასკარის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ზეცერის, ონარიის, ინგირის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ზუგდიდელი მეჩაიეები ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ყოველ წელს ზრდიან პლანტაციების ფართობს. ხუთწლედის პირველ წელს რაიონს 156 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია შეემატა.

ხობის რაიონის მეჩაიეებმა ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღეები კარგად დაიწყეს. ყველგან წესრიგში მოყვანთ ჩაის პლანტაციები. საჯიჯოს, ხამისურის, ძველი ხიბულის, ნოჯიხევისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციებში მწკრივთაშორის ნიადაგის დამუშავების ყოველდღიურ ნორმას ერთიორად ასრულებენ. კოლმეურნეებს ნიადაგის გადაბარვასთან ერთად პლანტაციებში შეაქვთ სასუქები.

ხობელთა პირობა იყო წელს პირველ იანვრამდე ჩაის ახალი პლანტაცია გაეშენებინათ 52 ჰექტარზე. ფაქტიურად მეჩაიეებმა პირობა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გაეშენეს 147 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ახლა ყველგან სიმინდის დასათესად იმარაგებენ თესლს, ამზადებენ ნიადაგს, რემონტს უკეთებენ ტრაქტორებს. (სპეც. კორ.).

ზამთარი სოფლად

ზამთრისათვის უჩვეულო ამინდია. დეკემბრის ბოლოს მცირე წვიმების შემდეგ კვლავ გამოანათა მზემ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონების ბაღ-ვენახებში, ჩაის პლანტაციებში კვლავ გაცხოველებულა მუშაობაა, მეცხოველეობის ფერმებში არ წყდება შრომა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით იბრძვიან იმისთვის, რომ ხუთწლედის მეორე წელი, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი უფრო გულუხვი იყოს.

გონივრულად გამოვიყენოთ ზამთრის ყოველი დღე! — ამ დევიზით მუშაობენ ყვარლის რაიონის სოფლების მშრომელები. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომითი რესურსების გონივრულად გამოყენებისათვის ზამთარში. თვითეულ კოლმეურნეობას, ბრიგადას, რგოლს, ყოველ კოლმეურნეს თავისი სამუშაოს გარკვეული გეგმა აქვს, საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკური დონეზე ჩასატარებლად რემონტს უკეთებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, წმენდენ მარცვალს, იბრაგებენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. ზამთრის თბილ დღეებს კარგად იყენებენ ყვარლელი მევენახეები. დაათავრა რიგთა შორის ხვნა, გადაჭრებით შესრულდა ბაღ-ვენახების გაშენების გასული წლის დავალება, დასასრულს უახლოვდება ვაზის ძირების გამობარგა, ახალი კენახების შპალერზე გადაყვანა. ჰიგიენის შედგმა, ვაზის სიმეჩხრესთან ბრძოლა აქ დაკვრცელურ სამუშაოდ გამოცხადდა. რაიონში ფართოდ გაჩაღდა მშენებლობა. მევენახეები, მემინდვრეები, მეცხოველეები, მექანიზატორები კვალიფიკაციას მოწინავეთა გამოცდილების სკოლებში იმაღლებენ. ყოველივე ამას უნარიანად უძღვებიან პარტიის ყვარლის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და სოფლის მეურნეობის სამმართველო.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ბევრი გადაუდებელი საქმე აქვთ. გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომ სიღნაღელმა მექანიზატორებმა, რომლებმაც გასულ შემოდგომაზე საიუბილეო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროულად მომზადებისა და მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების მიზნით მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მექანიზატორებს, წარმატებით შეასრულეს გასული წლის დავალებანი. მოხსენიელია (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 41.200 ჰექტარი ნაცვლად 40.000 ჰექტარისა, შეკეთებულია 161 ტრაქტორი ნაცვლად 160-სა, მეცხოველეობის ფერმებში შესრულდა 29.300 მანეთის სამონტაჟო სამუშაოები და სხვ. სიღნაღელმა ინიციატორებმა სტაყვა საქმედ აქციეს. მათ ახალი, საიუბილეო წელიც კარგად დაიწყეს. საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში წარმოებისათვის სოფლის ყველა მექანიზატორი ენერგიულად შრომობს. ახალი წლის პირველ დღეებში რემონტდაან გამოვიდა ტრაქტორები, გუთნები, სათესები და სხვა იარაღ-მანქანები.

დუშეთის, ყაზბეგის, წითელწყაროს და სხვა რაიონების მეცხვარეები ახალ წელს ახალი წარმატებით შეეგებნენ. მწყემსები თავიანთ ოჯახებს მოცილებული არიან, მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ საზოგადოებრივი საქმე ყველაზე მაღლა უნდა იდგეს. საზოგადოებრივი — უპირველეს ყოვლისა! აი რა არის მათი პირველი რიგის საზრუნავი. მეცხვარეები წვიმასა და ქარბუქში თავდადებით შრომობენ, ამრავლებენ სახალხო დოვლათს. თერი ქარავნების სასახელო მწყემსები ზამთარს მომზადებული შეხვდნენ და იმედია, რომ ისინი მშობლიურ მთებს ახალი გამარჯვებებით დაუბრუნდებიან.

სიხარულით, თავიანთი ძალების მტკიცე რწმენით შეხვდნენ საახალწლო დღესასწაულს მეჩაიეები, მეციტრუსეები, მეხილეები, მეჭარხლეები, მეთამბაქოეები, რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი. მათ გასულ წელს უხვად აწარმოეს ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვა პროდუქტები, გეგმის გადამატებით დიდძალი პროდუქტები მიეყიდა სახელმწიფოს. აი როგორ ხელდამშვენებულნი, სიუხვისაგან გულგახარებულნი შეხვდნენ სოფლის მშრომელები ახალ წელს. ახალი წლის პირველი დღეები კარგად დაიწყეს მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ცხაკაიას, ჯალის რაიონების მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა.

ყოველივე ეს თავისით როდი მოვიდა. ამ დიდ გამარჯვებას საფუძვლად უდევს იმ ეკონომიურ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება, რომლებიც ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის და 1966 წლის მაისის პლენუმების გადწყვეტილებებშია დასახული. ამ წარმატებებშია უდიდესი შრომის ნაყოფი სოფლის მშრომელებისა, მუშათა კლასისა, ინტელიგენციისა, მთელი ჩვენი ხალხისა. რომელიც უდიდეს მზრუნველობას იჩენს სოფლის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიურად განმტკიცებისათვის.

ჩვენი სახელმწიფო სულ უფრო ძლიერ ეხმარება სოფელს. ამის დამადასტურებელია ის ციფრები, რომლებიც მოყვანილია სსრ კავშირის 1967 წლის გეგმასა და ბიუჯეტში. მაგრამ ეს იმის როდი ნიშნავს, რომ საქმე თავისით, გაურჯელად გაკეთდება. პირიქით, მიღწეული წარმატებანი რომ განვამტკიცოთ, საფუძვლიანი შრომაა საჭირო, უნდა გამოვიჩინოთ დიდი ორგანიზებულობა, ინიციატივა. ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში შეუწყნარებელია გულდამშვიდება. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, ხოლო საშუალო ეკონომიის მქონე საზოგადოებრივ მეურნეობებში ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია. სპეციალისტებმა სოფლის ყველა მშრომელთან ერთად უნდა იბრძოლონ წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, მიხი ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ ყველგან ეფექტიანად არ იყენებენ სასუქებს. სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანებს, არ უფრთხილდებიან ტექნიკას. ყოველივე ეს აძვირებს პროდუქციას. აძვირებს მოსავლიანობას. მთავარია მიმდინარე წელს ასეთი რამ აღარ გამეორდეს.

სოფლად ახალი გასული წლის შედეგებს აჯამებენ, სახავენ წარმოების განვითარების ღონისძიებებს. სულ მალე კოლმეურნეობებში დაიწყება საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. როგორც შრომის შედეგების შეჯამებაში, ისე კოლმეურნეობათა საერთო კრებებს მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა კოლმეურნემ.

ზამთრის ამ დღეებში სანიმუშოდ უნდა მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის. ახალი წლის იანვარი წინა წლებისაგან განსხვავებით უფრო კარგ ამინდებს გვპირდება. თბილი დღეები შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მემინდვრეებმა, მეცხოველეებმა. ერთი წუთითაც არ უნდა დავიკარგოთ, რომ მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები სოფლის ყველა მშრომელის კუთვნილება უნდა გახდეს.

ახალი წელი, ხუთწლედის მეორე წელი საიუბილეო წელია. ყველა მშრომელის საპატიო ვალია ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდეს ჩვენი სახელმწიფოს 50 წლისთავს! აი რა არის ახლა მთავარი საზრუნავი სოფლად.

ახალ წელს ახალი ენერგიით!

ვადამდე

◆ **კასპის** ცემენტის ქარხნის დირექტორი ვ. პაპაშვილი, პარტკომის მდივანი თ. ალიბეგაშვილი და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ე. მგელაძე რედაქციას ატყობინებენ, რომ ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე — 19 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა.

წლიური გეგმის გადამეტებით საშობაოს მისცეს 21 ათასი ტონა ცემენტი და 2 მილიონი ცალი პირობითი ფილა შიფერი.

◆ **ბათუმის** ბამბეკიას გადამმუშავებელმა ფაბრიკამ, რომელიც წელს პირველი იანვრიდან დაგეგმილია და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდით მუშაობს, პირველ დეკემბერს, წარმატებით შეასრულა წლიური დავალება. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმა.

◆ **რუგორც „სოიუზეტორჩერმეტის"** საქართველოს საწარმოო დამამზადებელი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ა. ქვარცხავა გვატყობინებს, სამმართველომ ვადაზე ადრე — 15 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალება. მეორადი შავი ლითონების დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 652 ტონის გადამეტებით, ხოლო შავი ლითონის გადამუშავების დავალების შესრულება 9.098 ტონით სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს. გადაჭარბებით განადდებულია ორგანიზაციებისათვის მეორადი შავი ლითონების მიწოდების დავალება. მიღებულია 36 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

◆ **თბილისის** გვერდბმშენებლობის ლენინის ორდენოსანი სამმართველოს უფროსი ვ. გოცირიძე გვატყობინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გამლით სამმართველოს კოლექტივმა პირველ დეკემბერს გადაჭარბებით შესრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური საწარმოო გეგმა.

◆ **თბილისის** კომუნისტური შრომის საწარმოს — ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა 19 დეკემბერს გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

პირველი წარმატება

ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს კარგად იმუშავა თბილისის მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა. ფაბრიკას პირველი ცვლის გეგმით უნდა შეეკერა 1.840 წყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად კი 1900 წყვილი ბავშვის და მამაკაცის ფეხსაცმელი შეკერა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მესამე შემკერავმა საამქროს, რომელმაც ამ ცვლაში 460 წყვილი ფეხსაცმლის ნაცვლად 500 წყვილი შეკერა.

ამ დღეს ბეჯითი შრომით თავი გამოიჩინეს მუშებმა: ა. თანდაშვილმა, ე. გელენიძემ, გ. გიგნაძემ და ი. კაზარიანმა, რომლებმაც დღიური ნორმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მოდის „შავი ოქრო"

ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა 16 დეკემბერს შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. დაწინაურდნენ პირველი, მესამე, მეხუთე და მეექვსე შახტები, რომლებმაც სათბობის მოპოვების წლიური დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს.

ქვანახშირის მომპოვებლებმა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა საწვავი გაუგზავნეს მომმარაგებლებს. ეს აცნობებს რედაქციას საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ქვარაწძიამ და ტრესტის მთავარი ინჟინერმა გ. მიქაშავიძემ.



ნარმატებით დგას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტაზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. მან წლის დასაწყისიდან გამოუშვა 16.720 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები, მათ შორის გეგმის გადამეტებით 145.000 მეტრი. მეაბრეშუმეებმა იკისრეს წლის ბოლომდე მომმხმარებლებს მიაწოდონ 30 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი. სურათზე: საჩითავი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის უბანზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ჩვენს ღიად საუბარში

ტაშკენტი: სამი ტელეპროგრამა

უზბეკეთის დედაქალაქის ტელეცენტრმა მესამე პროგრამის ტრანსლაცია დაიწყო ტაშკენტიდან და მოსკოვიდან მუდმივ გადაცემებს შეემატა სატელევიზიო გადაცემა ფრუნზედან და ალმა-ატიდან. ეს იმის მეოხებით მოხდა, რომ საცდელად ამუშავდა ახალი გადამცემი.

ტაშკენტი საბჭოთა კავშირის მესამე ქალაქია მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ, რომლის მცხოვრებლებსაც შეუძლიათ არჩევით ნახონ სამი პროგრამა. ტაშკენტ-დუშანბისა და სამარყანდ-აშხაბად-ჯრასნოვოდსკ-ბაქოს რადიოსადგური ხაზების ამუშავებით უზბეკეთის დედაქალაქი სატელევიზიო პროგრამებს გაუგზავნის შუა აზიისა და ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკას. (საკდესის კორ.).

ტაშკენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმა". ბროშურა შეიცავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე, და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კანონს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ყარადანდის მიწისძვრა „სართულები"

დაიწყო ყარადანდის ქვანახშირის აუზის მეორე „სართულის" დეტალური დაზვერვა. ეს სართული 500-დან 1000 მეტრამდე სიღრმეზე მდებარეობს. ახლა აქ ამუშავებენ სათბობის ფენებს. რომლებიც სულ ნახევარ კილომეტრ სიღრმეზეა ჩაწოლილი. ახალი გეოლოგიური კვლევის მიზანია მიიღონ მონაცემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კოჭსადი და ენერგეტიკული ქვანახშირის ახალი მარაგის სამრეწველო ათვისების დაწყებას.

ტენტეკის ქვანახშირის რაიონში (ყარადანდის დასავლეთით) უკვე დამთავრდა პირველი 1500 მეტრიანი საბადოს გაბურღვა. სინჯებმა დაადასტურეს სპეციალისტთა პროგნოზები.

ჩვენ ამ ... ...

ზუგდიდელ ... ...

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲐᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ხელმძღვანელობის ლენინური სტილის დამახასიათებელი თავისებურებაა გადაწყვეტილებისა და შესრულების, სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ხოლო ამ პრინციპის თანმიმდევრობით დაცვისათვის აუცილებელია კოლექტიური ხელმძღვანელობის მუდმივი განმტკიცება, კონტროლის ფორმებისა და მეთოდების განუწყვეტელი სრულყოფა, ორგანიზატორული მუშაობა.

როგორც ცნობილია, ორგანიზაციულ მუშაობაში ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.

გადაწყვეტილებათა შესრულებისა და კონტროლის საქმე სამტრედიის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის ცენტრია. რაიკომი სრულყოფდა და სრულყოფს გადაწყვეტილებათა შესრულების მოწყობისა და მისდამი კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს. ამ საქმეში თვალსაჩინო გამოცდილება შეგიძინეთ. ჩვენთან დანერგილია შესრულების შემოწმების ბევრი ფორმა, რომელთა ქმედითობაც პრაქტიკამ დაადასტურა.

უკანასკნელ წლებში პარტიის რაიკომის ბიურო სისტემატურად იმჩენს ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ანგარიშებს. და აპრ წინ უძღვის ადგილებზე საქმეთა მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა. ანგარიშებთან დაკავშირებული ღონისძიებები ხელს უწყობს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

ანგარიშები კონტროლისა და საქმეთა ფაქტიური შესრულების შემოწმების ქმედითი მეთოდია. მაგრამ მათი განხილვა მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, თუ ანგარიშებს მოსდევს კონკრეტული, პრაქტიკული მუშაობა ადგილებზე, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მოწინავე გამოცდილების დანერგვა. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება. პრაქტიკაში ვიყენებთ კონტროლის ისეთ ფორმებსაც, როგორიც არის წერილობითი ანგარიშების, სტატისტიკური ცნობების გულდასმით შესწავლა, პირადი საუბრები მუშაკებთან.

ამ ფორმების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს ყოველთვის ვიცოდეთ, თუ როგორ სრულდება გადაწყვეტილებები, საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩავერიოთ საქმეში და ოპერატიულად მივიღოთ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საწარმოო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

მაგრამ შესრულების შემოწმების ყველაზე საუკეთესო ფორმად მაინც მიგვაჩნია საქმეების ადგილზე შემოწმება, რომელსაც ვერავითარი წერილობითი ანგარიში ან კონტროლის სხვა ფორმა ვერ შეცვლის. ასეთი შემოწმების უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ შემმოწმებელი თვითონ პირადად და არა სხვისი მოხსენებით ან ნათქვამით რწმუნდება ადგილზე არსებულ მდგომარეობაში, გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაში. იგი საკრო დამარებას გაუწევს მუშაკებს, საკუთარი თვალით ნახავს ამა თუ იმ სიახლეს. ხოლო იმისათვის, რომ ასეთი შემოწმება შედეგიანი იყოს, აუცილებელია შემმოწმებელი ყოველმხრივ ჩახედულ საქმის არსს, კონკრეტული და ღრმა ანალიზი გაუკეთოს მდგომარეობას, პრინციპულად მიუდგეს საკითხებს, გამოიჩინოს პოლიტიკური სიფხიზლე ფაქტების შეფასებაში.

გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის სისტემატურად ზრუნავენ ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების, საკონსერვო კომბინატის, ღანირისა და სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების, გომის, ცხაკაიას, იანეთის მახარაძის, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობებისა და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები პარტიულ კრებებსა და ბიუროების სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების მიმდინარეობის საკითხს, სწორად უხამებენ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობას. პარტიულ კრებებზე განიხილავენ ყველაზე აქტუალურ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს, უხამებენ მათ პარტიული ცხოვრებისა და მასებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს, რაზეც შინაარსიან, კონკრეტულ დადგენილებებს იღებენ. ამ დადგენილებებში ნათლად ჩანს მოცემული ვითარების ღრმა შეფასება, შესრულების გზები და საშუალებები, დასახულებულია ის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ამა თუ იმ ამოცანის შესრულებისათვის, ამასთან განსაზღვრულია შესრულების ვადებიც.

გადაწყვეტილებათა შესრულებაში ფაქთიურად არიან ჩაბმული კომუნისტები, უპარტიო აქტივისტები. ყოველივე ამან განაპირობა აღნიშნული საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო წარმატებები.

სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა 1965 წლამდე ძალიან ჩამორჩებოდა. მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი თ. თარგამაძე) დირექციასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიულ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას, რისთვისაც ყველა კომუნისტია დარაზმული. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე სათანადო კონტროლინ დაწესებას კარგი პრაქტიკული შედეგებიც მოსდევს. საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შესრულა ფრინველის საერთო სულადობის, კვერცხის წარმოების, ფრინველის ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

სალოკომოტივო დეპოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი კ. ჩიხლაძე) პრაქტიკაში შემოღებული აქვს მოახსენებდეს პარტიულ კრებას, თუ როგორ სრულდება წინა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები. მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სისტემატურმა კონტროლმა კიდევ უფრო აამაღლა კომუნისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაიკომს შეუძლია სისტემატური კონტროლი გაუწიოს შესრულების შემოწმებას ხმოლოდ თავისი შტატის მუშაკთა ძალებით. ამ საქმეში ვაბამთ კომუნისტთა ფართო წრეს. განსაკუთრებით დიდ დახმარებას გვიწევენ პარტიის რაიონული კომიტეტის წევრები, წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, შტატგარეშე ინსტრუქტორები, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კომისიები. შესრულების შემოწმების შედეგებს განვიხილავთ რაიკომის ბიუროს სხდომებზე, კრებებსა და თათბირ-სემინარებზე. მუდმივად ვზრუნავთ რაიკომის ბიუროს სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მარტო შარშან რაიკომის ბიურომ 21-ჯერ მოისმინა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხი. გამოირკვა, რომ ამ დადგენილებათა დიდი ნაწილი დადგენილ დროზე შესრულდა.

შარშან 28 იანვარს რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება ავტოსატრანსპორტო კანტორისა და რაიკომკავშირის ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა, ამ ორგანიზაციებში უგულებელყოფილი იყო ამხანაგური სასამართლოების როლი, ადგილი ჰქონდა საბჭოთა კანონიერების დარღვევის, მგზავრთა უბილეთოდ გადაყვანის, ავტოავარიისა და სხვა სახის დანაშაულებათა ფაქტებს. რაიკომკავშირის საკავკომო ქონების გაფლანგვა-დატაცებისა და მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები, რის წინააღმდეგ საბრძოლველად ამ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები ამხანაგურ სასამართლოებს არ იყენებდნენ და დამნაშავეთა მიმართ მხოლოდ შიშველ ადმინისტრირებას არჩევდნენ.

რაიკომის ბიუროს დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და აპრილში მოიწყო მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება. გამოირკვა, რომ მდგომარეობა მთლიანად შეცვლილია. ორივე დაწესებულებაში ამხანაგური სასამართლოების მუშაობა გამოცოცხლდა და იგი მასების აღზრდის მძლავრ საშუალებად იქცა.

რაიკომის ბიუროს სხდომებზე მოიწყო აგრეთვე დადგენილებების შესრულების შემოწმება მთელ რიგ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის რაიონის მოსახლეობის სამეფიანი მომსახურების, საგზაო მშენებლობის მდგომარეობა, სატვირთო ავტოტრანსპორტის სწორი ექსპლოატაცია და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება, ზედა ეწრის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის გაძლიერება და სხვ.

შარშან ივლისსა და აგვისტოში რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მსხვილ საწარმოებში გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც რაიკომის ბიუროს მიერ 6 თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარეს ბიუროს წევრებმა. ამ კრებებს წინ უძღოდა გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა, რომლის დროსაც კომუნისტებმა დაიყენეს მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. ამ საკითხების გადაჭრისათვის რაიონული კომიტეტის მიერ განხორციელებულმა კონკრეტულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ვაჩაღებას პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ამან კი განაპირობა ჩვენი სამეურნეო წარმატებანი.

შესრულების შემოწმების საქმეში პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დიდ დახმარებას უწევენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიები, პარტიული ჯგუფები, სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები.

რაიონში შექმნილია სახალხო კონტროლის 95 ჯგუფი და 238 საგუშაგო, რომლებშიც გაერთიანებულია 2.690 ამხანაგი, კონტროლის რაიონულ კომიტეტთან სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით შუშაობს 9 შტატგარეშე განყოფილება და ინფორმაციის სექტორი.

მარტო წელს სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რკინიგზის საგგურ სამტრედიასა და იანეთში მგზავრთა კულტურული მომსახურების, პურპროდუქტების საწარმოთა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის, რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობის, ელექტროენერგიისა და სათბობის ეკონომიურად ხარჯვის, კინოშემოსავლის გეგმების შესრულების, მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის და სხვა საკითხები.

შემოწმებებმა გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი — მმართველობის აპარატის ხელოვნურად გაზრდა, ნედლეულისა და მასალების უმომჭირნეოდ ხარჯვა, პროდუქციის ხარისხის გაუარესება, რისთვისაც მიღებულ იქნა ქმედითი ღონისძიებანი.

პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ ეხმაურებიან საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების დაყენებულ წინადადებებს. ეს საკითხი ორჯერ — გასული წლის ოქტომბერსა და ნოემბერში განვიხილეთ რაიკომის ბიუროს სხდომებზე.

ამ სამი თვის წინათ პარტიის რაიკომის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხზე. ამჟამად გამოწმებთ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საქმეში ნაკლოვანებებიც გვაქვს. არის ფაქტები, როცა რაიკომისა და პირველად პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი დადგენილება დანიშნულ ვადაში არ სრულდება, ხოლო ზოგიერთი დადგენილება ზერელეა და ფორმალურ ხასიათს ატარებს. პარტიული ორგანიზაციები და მათი ბიუროები ზოგჯერ ისეთ დადგენილებებს იღებენ, რომ საკუთარი ძალებით მათ შესრულების შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ნაკლოვანებანი გვაქვს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიებისა და კადრებთან მუშაობის საქმეში.

ჩვენ ქმედითს ზომებს ვიღებთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შესრულების შემოწმებისადმი სწორი ხელმძღვანელობა, კონტროლის სხვადასხვა ფორმის კოორდინაცია, შეთანხმებული და გაგაზრებული მუშაობა ხელს შეუწყობს კონტროლის ქვემოდან განვითარებას, ხოლო იქ, სადაც ფართო მასები მონაწილეობენ კონტროლში, შეცდომები და ნაკლოვანებანი თავის დროზე იქნება აღმოჩენილი და ლიკვიდირებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და შემდგომმა პლენუმებმა, პარტიის XXIII ყრილობამ შექმნეს პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ხელმძღვანელი ორგანოების, კომუნისტების, ყველა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. საქმის ფაქტიური შესრულებისადმი სწორად და მკაფიოდ დაყენებული კონტროლი უფრო აამაღლებს ჩვენი გადაწყვეტილებების ავტორიტეტს მასების თვალში, ხელს შეუწყობს დისციპლინის განმტკიცებას ყველა რგოლში, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს, უზრუნველყოფს ჩვენს წარმატებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

Ა. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ,
საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ

ᲐᲛ დღეებში პარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომმა მოაწყო ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება, რომელიც გაუხსნა [illegible] ამხანაგმა გ. დანელიამ.

კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება — აი ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრების დევიზი.

სიტყვებით გამოვიდნენ: პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ბ. ირემაძე, ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ე. ცომაია, ავტომატიზაციის საშუალებისა და ხელსაწყოთა მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი ეფ. გოლდენბერგი, სოფლის მეურნეობის იარაღ-ძალების საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვანი ინჟინერ-კონსტრუქტორი კ. ᲭᲘᲯᲐᲕᲘᲫᲔ, პირველი სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი, ახალგაზრდა კოლეხსიტი ი. ᲝᲣᲮᲐᲫᲔ.

შეკრების დასასრულს ახალგაზრდებს უჩვენეს ახალი მხატვრული ფილმი „დედის გული“.

Ე. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქართული ავტომობილის მშენებლობები დიდი პოპულარობით სარგებლობს ქარხნის ლექტორთა ჯგუფი, რომელიც წარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს, წამყვან სპეციალისტებსა და ნოვატორებს აერთიანებს.

ქარხნის ლექტორთა ძალებით რეგულარულად იმართება „ლექტორის დღე“, რომელიც მშრომელთა განაცხადისა და სურვილის შესაბამისად ერთდროულად იკითხება ლექციები ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში.

ამ დღეებში ქარხნის ლექტორებმა სამეფიდლო, სიჩქარეთა კოლოფის, № 1 საწნეხელი, № 2 და № 3 სამსხმელო საამქროებში ერთდროულად წაიკითხეს ლექციები თემებზე: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები ახალ ხუთწლეულში“, „ლენინური მოძღვრება პროფკავშირების ტომშენებელმა მოისმინა.

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). ახალარჩეული პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად პარტიის ახალციხის რაიკომთან შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარი.

ამ დღეებში გაიმართა სემინარის მორიგი მეცადინეობა. საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. გრძელიშვილი სემინარის მონაწილეებს ესაუბრა შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მეორე მდივანი ო. სოხაძე.

პარტიის რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებზე მოხსენება გააკეთა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ შ. ზედგინიძემ.

ᲮᲔ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ

ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲘᲐ

ᲙᲐᲙᲚᲘ უძვირფასესი და ყოველმხრივ სასარგებლო მცენარეა. მის მერქანს, ნაყოფს, ფოთოლს გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. კაკლის ხის ყვავილა ნაწილს იყენებენ. ამიტომ ი. ვ. მიჩურინი მას უწოდებდა „ხე კომბინატს“. მიუხედავად ამისა კაკალს ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

მოკავშირე რესპუბლიკების ნარკვევი მასალების მისედვით კაკლის ნარგავებს თურქმენეთის სს რესპუბლიკაში 200 ჰექტარი უჭირავს. უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 1.459 ჰექტარი, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 1.500 ჰექტარი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 2.400 ჰექტარი, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 10.000 ჰექტარი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში 40.000 ჰექტარი და სხვ.

ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის სს რესპუბლიკებში და უკრაინის ჩრდილოეთ რაიონებში დიდი ყინვებისაგან კაკალი იყინება. იტალიაში კაკლის ნარგავებს 115 ათასი ჰექტარი უჭირავს, კალიფორნიაში — 30,7 ათასი ჰექტარი, ესპანეთში — 37 ათას ჰექტარზე მეტი.

ევროპაში კაკლის წარმოების ძირიკ პირველ ადგილზე არიან იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი. ოქტომბრის რევოლუციამდე მოლდავეთი რუსეთის ცენტრალური რაიონებისათვის კაკლის ნაყოფის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო. იგი რუსეთს ყოველწლიურად აწვდიდა 5.408 ტონა კაკლის ნაყოფს. მსოფლიოს ბაზარზე მაღალი შეფასება ჰქონდა არა მარტო კაკლის ნუურს, არამედ მერქანსა და ნაყოფსაც. სახლვარგარეთის სხვადასხვა ფირმები ძველთაგანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ კაკლის ნაწარმის შესყიდვის საქმეში. მაგალითად, 1868-1877 წლებში საქართველოს ნავსადგურებიდან გაზიდულ იქნა 21.464 ტონა კაკლის და ბზის მერქანი, ნიკოლაევის ნავსადგურიდან — 1.706 ტონა და დერბენტის ნავსადგურიდან — 5.403 ტონა.

კაკლის ძვირფასი მერქანი გაჰქონდათ ამერიკაში, საფრანგეთსა და ინგლისში. კაკლის მერქანს იყენებენ ავტომობილების, თვითმფრინავების, გემებისა და შენობების შიდა გამშვენიერებისათვის. მისგან კეთდება იშვიათი სილამაზის ავეჯი. კაკლის ფანერაზე დიდია საექსპორტო მოთხოვნილება.

ცნობილი ამერიკელი კაპიტალისტი ფორდი თავის გამოშვებულ ავტომობილებს რეკლამას უკეთებდა და აღნიშნავდა, რომ ისინი გამშვენიერებულია ნამდვილი კავკასიური კაკლით.

კაკლის ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს საკვებ ცხიმებს. მაგალითად, ქართული კაკლის ხის ჯიშები გვაძლევს 70,9 პროცენტ საკვებ ცხიმს, დანიისა (გარეულად მზარდი) — 72,71, სამხრეთ ყირგიზეთისა (გარეულად მზარდი) — 59,12 და ფრანგული ჯიშები — 61, 76 პროცენტ საკვებ ცხიმს. კაკლის ნაყოფიდან მიღებულ ზეთს იყენებენ საკვებში, საკონდიტრო ნაწარმში და სხვ. განსაკუთრებით ძვირფასია იგი მხატვრობაში, მისგან მზადდება მაღალი ხარისხის ლაქები და სხვ.

კაკლის ერთ ხეს შეუძლია მოგვცეს 50 კილოგრამი მაღალი ხარისხის ზეთი, ხოლო ჰექტარზე დარგულ 60 ძირ კაკლის ხეს შეუძლია მოგვცეს იმდენი ზეთი, რამდენსაც გვაძლევს 6 ჰექტარზე ნათესი მზესუმზირას ზეთი.

4.000 გრამი კაკლის თბობითი ფასეულობა შეადგენს 3.305 კალორიას, ადამიანს კი მიღებული საკვებიდან სჭირდება საშუალოდ 3.500 კალორია. კაკლის ნაყოფი თავის ნაყოფიერებით აღემატება ადამიანის ძირითად საკვებს — პურს, ხორცს და რძეს. კაკალი გაცილებით უფრო ნოყიერია, ვიდრე ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ქლიავი და ციტრუსები. მაგალითად, 1 კილოგრამ ნიგოზს თავისი კალორიით შეუძლია შეცვალოს 3 კილოგრამი პური, 7 კილოგრამი კარტოფილი, 4 კილოგრამი ხორცი, 14 კილოგრამი მსხალი, 15 კილოგრამი რძე და სხვ.

კაკლის ნაყოფი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო ცილას 11,9 პროცენტს, ნახშირბადს — 11,7 პროცენტს და ცხიმს — 49 პროცენტს.

ნიგოზის დაწნეხვით მიიღება პირუტყვისა და ფრინველისათვის მეტად მაღალი ხარისხის საკვები კოპტონი, რომლის შემადგენლობაში შედის: 25-30 პროცენტი აზოტის ნივთიერებანი, 8-10 პროცენტი ცხიმი, 10-11 პროცენტი უჯრედები, 34,8 პროცენტი ცილა. კაკლის ნაჭუჭს იყენებენ სახეხი და საღესი ქვის და წვრილი შენაერთების მისაღებად. ეს უკანასკნელი იძლევა უმაღლესი სიმკვრივის ისეთ ძვირფას სამრეწველო საქონელს, როგორიც არის ლინოლეუმი და ტოლი.

კაკლის ხისა და ფესვების ქერქს, ნაყოფის მწვანე ჩენჩოს და ფოთლებს იყენებენ საფეიქრო მრეწველობაში როგორც ძვირფას საღებავ ნედლეულს.

მოუმწიფებელი კაკლის ნაყოფი და ფოთოლი შეიცავენ ვიტამინ „C“-ს, კაროტინს, ეთეროვან ზეთს და მათ მედიცინაში იყენებენ. კაკლის ფოთლებისაგან შეიძლება მიღებულ იქნას მშრალი წონის 2,4 პროცენტამდე ვიტამინი „C“. კაკლის ხე არ წაგავს სხვა ჯიშის ხეებს. იგი მსხმოიარობას იწყებს 10 წლიდან და მისი ხანგრძლივობა აღწევს 300 წლამდე. აღსანიშნავია, რომ არც ერთი სხვა ჯიშის ნაყოფმომცემ ხეს არა აქვს სიცოცხლის ასეთი ხანგრძლივობა.

იმის გამო, რომ კაკლის ფოთლები გამოყოფენ ეთეროვან ნივთიერებას, რომელიც აფრთხობს ბუზებს, კოღოებს და ქინქლებს, ამ კულტურების გაშენებას მესაქონლეობის ფერმების, საავადმყოფოებისა და სასადილოების გარშემო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კაკლისაგან მიღებული ნაყოფი სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებთან შედარებით უფრო კარგ შემოსავალს იძლევა. მაგალითად, ერთი ჰექტარი ვაშლის ბაღის გაშენება და მოვლა ჯდება 587 მანეთი, შემოსავალს კი 1.320 მანეთს იძლევა, ე. ი. მოგება 733 მანეთს უდრის. ერთი ჰექტარი კაკლის კულტურის გაშენებასა და მოვლაზე იხარჯება 116 მანეთი და 20 კაპიკი, ხოლო მსხმოიარობის მიღწევისას იძლევა 2.400 მანეთ შემოსავალს, ე. ი. 2.283 მანეთ და 80 კაპიკ მოგებას, ანუ ვაშლის ბაღიდან მიღებულ მოგებაზე 1.550 მანეთით და 80 კაპიკით მეტს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, თუ რამდენად მიზანშეწონილი და რენტაბელურია საქართველოს სს რესპუბლიკაში კაკლის გაშენება.

ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ეამრავლოთ კაკლის ხეები. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ის მდგომარეობაც, რომ კაკლის ნარგავების გაშენება ხელს არ უშლის სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების წარმოებას, რადგან მისთვის საჭირო არ არის მიწის ნაკვეთების სპეციალურად გამოყოფა.

კაკლის ნარგავების გაშენება შეიძლება ერთიანი ნარგავების სახით სახელმწიფოს ტყის ფონდის მიწებზე, სუფთა კაკლის ბაღებად თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ცალკეული ხეების სახით საკარმიდამო ნაკვეთებზე, გზის პირებზე, სარწყავი თხრილების გასწვრივ, ქალაქების, დაბების და სოფლების პარკებსა და ბაღებში, რითაც შეიქმნება არა მარტო სამრეწველო კულტურები, არამედ ამით საერთოდ გაიზრდება ჩვენს რესპუბლიკაში მწვანე ნარგაობა და ამასთან გაუმჯობესდება ჰავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გადაჭარბებით შეასრულა კაკლის ნარგავების გაშენების 1966 წლის დავალება. ახლა სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე კაკალი დარგულია 10 ათას ჰექტარზე. სახელმწიფო ტყის ფონდში თითქმის მთლიანად ათვისებულია კაკლის ნარგავების გასაშენებლად ვარგისი თავისუფალი მიწის ნაკვეთები. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს განზრახული აქვს კაკლის გაშენება აწარმოოს მარადმწვანე ქვეტყეით (წყავი, შქერი, იელი) დაფარულ დიდი დაქანების ფერდობებზე, მათი რეკონსტრუქციის მიზნით.

ახლა მთავარია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის ყველა მშრომელმა ენერგიულად იშრომონ იმისათვის, რომ გაახარონ და გაამრავლონ კაკლის ხე.

Ო. ᲩᲝᲓᲠᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.





ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ დიდებული და ხალასი გრძნობაა. მეგობრობამ საზღვარი არ იცის. ფრთაშესხმული მეგობრობა გადალახავს უსაზღვრო ზღვებსა და ოკეანეებს, თვალუწვდენელ მთებსა და ტრამალ სივრცეებს, სამუდამო სიყვარულით აკავშირებს ადამიანთა გულებს...

ხალხთა მეგობრობამ განსაკუთრებით გაიდგა ფესვები ჩვენს დროში, რადგან იგი თვით საბჭოთა წყობილების ბუნებიდან მომდინარეობს.

მართალია, რაკეტების ხანაში მანძილის ცნება ერთობ პირობითი გაზდა, მაგრამ საქართველო გეოგრაფიულად შორს არის ბელორუსიიდან. ეს ორი მომძე რესპუბლიკა ათასობით კილომეტრით დაშორებულია ერთმანეთს, თუმცა მანძილი უძლური აღმოჩნდა მეგობრობასთან, რომელიც სამამულო ომმა უფრო გამოაწრთო და განამტკიცა.

ახლახან ჭიათურაში მოვიდა გაზეთი „ოგნი კომუნიზმა“, რომელიც ბელორუსიის სსრ სვეტლოგორსკის რაიონში გამოდის.

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ მკითხველო! დღეს ჩვენი გაზეთის არც თუ მთლად ჩვეულებრივ ნომერს გთავაზობთ. იგი მზიურ საქართველოში გადაგაქროლებს. თუმცა განა ეს ამდენად უჩვეულოა? არა, ამის თქმა არ შეიძლება. მეგობრობა, ერთობა, კოლექტივიზმი, ურთიერთდახმარება ხომ ჩვენი ცხოვრების ნორმად, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურთიერთობის საფუძვლად ითვლება“. ასე იწყება გაზეთი, რომლის მთელი ნომერი მიძღვნილია ჭიათურელ და სვეტლოგორსკელ მშრომელთა ურღვევი მეგობრობისადმი. რა გრძნობა ამოძრავებდათ სვეტლოგორსკელ ჟურნალისტებს, როცა ეს კეთილშობილური ნაბიჯი გადადგეს?

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ სვეტლოგორსკისთვის ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა ყოფილი ჭიათურელი მაღაროელი. სოფელ ზოდის

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ მკითხველო! დღეს ჩვენი გაზეთის არც თუ მთლად ჩვეულებრივ ნომერს გთავაზობთ. იგი მზიურ საქართველოში გადაგაქროლებს. თუმცა განა ეს ამდენად უჩვეულოა? არა, ამის თქმა არ შეიძლება. მეგობრობა, ერთობა, კოლექტივიზმი, ურთიერთდახმარება ხომ ჩვენი ცხოვრების ნორმად, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურთიერთობის საფუძვლად ითვლება“. ასე იწყება გაზეთი, რომლის მთელი ნომერი მიძღვნილია ჭიათურელ და სვეტლოგორსკელ მშრომელთა ურღვევი მეგობრობისადმი. რა გრძნობა ამოძრავებდათ სვეტლოგორსკელ ჟურნალისტებს, როცა ეს კეთილშობილური ნაბიჯი გადადგეს?

საერთაშორისო ცხოვრება

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროში

ნავსადგურ დალნის ჩინელმა ხელისუფლებამ უკანონოდ დააკავეს საბჭოთა თბომავალი „ზაგორსკი“

1966 წლის 8 დეკემბერს ნავსადგურ დალნის ჩინელმა ხელისუფლებამ უკანონოდ დააკავეს საბჭოთა თბომავალი „ზაგორსკი“ და შეპყრობილი ყავდათ 28 დეკემბრამდე.

რომ „ზაგორსკი“ გაემართლებინათ თავიანთი ნოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებსა და პრაქტიკას, დამკვიდრებულს საზღვაო ქვეყნების კანონმდებლობით, კერძოდ ნავსადგურ დალნიში მოქმედი წესებით, ამ ნავსადგურის ხელისუფლებამ საბჭოთა გემს წაუყენეს „ნავსადგურის წესების დარღვევის“ სრულიად უსაფუძვლო ბრალდება.

რა შეემთხვა სინამდვილეში საბჭოთა თბომავალ „ზაგორსკს“ დალნის ნავსაყუდელში?

8 დეკემბერს ნავსადგურ დალნის 28-ე მისადგომთან თბომავალმა „ზაგორსკმა“ დაამთავრა დატვირთვა და ყველა საჭირო ფორმალობის დასრულების შემდეგ ემზადებოდა ზღვაში გასასვლელად. 16 საათსა და 10 წუთზე თბომავალზე ავიდა ორი ჩინელი ლოცმანი. რომელმაც მოახსენეს, და წაიყვანეს „ზაგორსკი“ ნავსადგურის ჯახსხელელისაკენ. არც საბჭოთა გემის კაპიტანი, არც ეკიპაჟის სხვა წევრები არ ჩაჩერებულან ჩინელ ლოცმანთა მოქმედებაში, იმ მომენტამდე, როცა ნავსადგურის ჭიშკართან ლოცმანებმა მოულოდნელად უბრძანეს მოებრუნებინათ თბომავალი. ამ ბრძანების შესრულებას გარდუვალად მოჰყვებოდა „ზაგორსკის“ დაჯახება მოლთან, რასაც შეიძლება ხერიოზული ავარია და გემის დაღუძვაც კი გამოეწვია.

ამ სტატუაციაში „ზაგორსკის“ კაპიტანს არ შეეძლო შეესრულებინა და, ბუნებრივია, არც უნდა შეესრულებინა ლოცმანის კომანდა. სწორედ ამან საშუალება მისცა გემს მშვიდობით გასულიყო ნავსადგურის ჭიშკრში, რის შემდეგ კაპიტანმა დაუყოვნებლივ გაიჩარა გემი და ჩინელ ლოცმანთა მოთხოვნით ღუზა ჩაუშვა.

ღუზის ჩაშვების შემდეგ გემში მოვიდნენ შეიარაღებული ჩინელი მცველები და ნავსადგურის ხელისუფალთა წარმომაღგენელნი, რომლებმაც აუკრძალეს გემს წასვლა, ცდილობდნენ ძალით შეეტრიალებინეთ თბომავლის შტურმანის ჯიხურში, რათა ხელთ ეგდოთ რუკები და გემის დოკუმენტები.

საბჭოთა მეზღვაურები სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობის ინტერესებისათვის თავშეკავებასა და მოთმინებას იჩენდნენ, თავიდანვე ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ ეს ინციდენტი.

თუმცა „ზაგორსკის“ კაპიტანმა არაერთხელ მომართა ნავსადგურის ადმინისტრაციას და სთხოვა საბჭოთა გემის ეკიპაჟის წევრთა და თბომავალში მყოფ ჩინელ ლოცმანთა მონაწილეობით გაერკვიათ საქმის ვითარება, ნავსადგურის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარი თქვეს ამაზე და არ გაათავისუფლეს საბჭოთა გემი.

ჩინელ ხელისუფალთა ეს სრულიად დაუსაბუთებელი და გამომწვევი მოქმედება უპრეცედენტოა, მით უფრო სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში.

10 დეკემბერს საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩომ ჩინეთის ხახალო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვა დაბარება გაეწია, რომ „ზაგორსკი“ გასულიყო ნავსადგურ დალნიდან. მაგრამ ჩინეთის ხახალო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, გამზრახ გაუზვიადა რა მოგონილი ბრალდებანი საბჭოთა მეზღვაურების მიმართ, განაცხადა, თბომავალმა „ზაგორსკმა“ დაარღვია ჩინეთის სუვერენიტეტი“. ჩინეთის ხელისუფალნი კვლავ იცავდნენ მათ მიერ წაყენებულ ბრალდებებს და ნავსადგურ დალნის გარე რეიდზე ჰყავდათ თბომავალი და მისი ეკიპაჟი, რომლებსაც მცველები მიუჩინეს.

საბჭოთა მხარემ 17 დეკემბერს პროტესტი განუცხადა ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს თბომავალ „ზაგორსკის“ უკანონო დაპატიმრების გამო და მოითხოვა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ იგი.

განცხადებაში მთლიანად მხილებული იყო ჩინეთის ხელისუფალთა მიერ მოგონილი ბრალდებანი თბომავლის კაპიტანისა და სხვა საბჭოთა მეზღვაურების მიმართ. განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ თანახმად საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების და პრაქტიკისა, რომელიც დამკვიდრებულია საზღვაო ქვეყნების კანონმდებლობით, ლოცმანი გემის კაპიტანის მრჩევლად (კონსულტანტად) ითვლება. არის თუ არა გემზე ლოცმანი, გემის კაპიტანი მანევრირების დროს პასუხისმგებელია ხომალდის მართვისათვის, მას სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მისთვის მინდობილი გემის უშიშროებისათვის. ჩინეთის ოფიციალური მონაცემებით, ამგვარი პრაქტიკა არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნავსადგურებშიც. არც ლოცია, არც ნავსადგურ დალნისათვის დადგენილი წესები არაფრით არ ზღუდავენ კაპიტანს ამ უფლებებს, როცა გემს მართავს ლოცმანი.

ჩინელი ლოცმანი, რომელიც თბომავალ „ზაგორსკის“ ქიმზე იყო, იძლეოდა ისეთ მითითებებს; რომლებსაც შეეძლო შეექმნა გემის ავარიის საფრთხე და მისი დაღუძვაც კი გამოეწვია. ხოლო კაპიტნის მოქმედებამ, რომელიც შეესაბამებოდა არსებულ წესებს, უზრუნველყო გემის უშიშროება და ნავხვეთი მარილწმიერი იყო. ჩინეთის მხარის ბრალდება, თბომავალ „ზაგორსკის“ კაპიტანმა „დაარღვია ჩინეთის სუვერენიტეტი“, თავიდან ბოლომდე მოჭორილი და უნიადაგო იყო.

მაგრამ ჩინეთის მხარეს არათუ არ უხმარია რაიმე ღონისძიება გემის განთავისუფლებისათვის, არამედ პასუხიც კი არ გაუცია 17 დეკემბრის განცხადებაზე, რომელიც გადაეცა ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარემ 24 დეკემბერს კვლავ მტკიცე პროტესტი განუცხადა საბჭოთა თბომავლის დაპატიმრების წინააღმდეგ.

ხოლო ამის შემდეგ ჩინეთის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ 28 დეკემბერს გაეშვათ საბჭოთა თბომავალი „ზაგორსკი“, რათა მსოფლიო საზოგადოებას დაუმტკიცონ თავიანთი მოქმედების ნამდვილი ხასიათი, ისინი, ამახინჯებენ ფაქტებს და ახლა გასული რიცხვით ცდილობენ გამოუნახონ გამართლება ამას, რომ 20 დღის განმავლობაში უკანონოდ დაკავებული ყოფილ საბჭოთა გემი და მისი ეკიპაჟი. სწორედ ამისათვის ფართოდ გაავრცელეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესაში და რადიოთი სინხუას სააგენტოს 28 დეკემბრის ცნობა. ამ ცნობის ხაძრახსი მიზნები ნავსუნთ აშკარაა.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს არ შეუძლია არ აღნიშნოს ის გარემოება, რომ ჩინეთის ხელისუფალთა მოქმედება შეუთავსებელია საერთაშორისო სავაჭრო ნაოსნობის დარგში ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებთან, სერიოზულ ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეზღვაურთა თანამშრომლობას, საფრთხეს უქმნის ნორმალურ საზღვაო მიმოსვლას სსრ კავშირისა და ჩინეთის ნავსადგურებს შორის.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროო უფლებას აძლევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებს წაუყენოს მოთხოვნა აანაზღაუროონ ზარალი, რომელიც გამოიწვია თბომავალ „ზაგორსკის“ უკანონოდ და ხანგრძლივად დაკავებამ.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

კუბანა, 3 ივნვარი. (საკდესი). გუშინ სამხედრო პარადის შემდეგ, რომელიც კუბის ახალხო რევოლუციის მერვე წლისთავის გამო მოეწყო, ხოსე მარტის მოედანზე გაიმართა ჰავანის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგზე სამსაათიანი სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რვა წლის მანძილზე კუბის მიერ განვლილ გზას, კუბის მიღწევებს ეკონომიკის, კულტურის, მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დარგში. კუბის რევოლუციის ყველაზე მთავარი შედეგია რევოლუციური შეგნების დანერგვა ხალხში, ხაზი გაუსვა ფიდელ კასტრომ.

კუბის პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ კუბამ დიდი წარმატებანი მოიპოვა სახალხო განმრთელობის დაცვაში, განათლებაში, კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. დაწვრილებით შეეხო იგი კუბის სავაჭრო და თევზსაჭერი ფლოტის ზრდას, პირველ დიდ მიღწევებს მრეწველობაში, მოსი შემდგომი ზრდის გეგმებს ფიდელ კასტრომ თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დუთმო კუბის ეკონომიკის ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარების გეგმებს.

თავისი სიტყვის დასასრულს ფიდელ კასტრომ სალაში გადასცა სხვა ქვეყნების ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლებს. მიტინგის მონაწილენი ხუთწუთიანი ოვაციით შეხვდნენ მის მისასალმებელ სიტყვებს მაიორ ერნესტო გევარასადმი, რომელიც „მსოფლიოს ერთ-ერთ ქვეყანაში იბრძვის“. პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა რევოლუციური კუბის სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ იბრძვის.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს ფიდელ კასტროს წინადადება, რომ ახალ წელს კუბაში ეწოდოს „გმირი ვიეტნამის წელი“.

კანადა-ამერიკის უთანხმოებანი

ნიუ-იორკი, 3 ივნვარი. (საკდესი). კანადის ურთიერთობა სამხრეთ მეზობელთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჯერ არასდროს არ ყოფილა ისოდენ დაძაბული, როგორც ახლა. როცა კანადელები იმზადებიან თავიანთი სახელმწიფოს ასი წლისთავის ოფიციალურ აღნიშნავად, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ოტავიელი სპეციალური კორესპონდენტი დ. ფოლკი.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კანადა-ამერიკას უთანხმოებანი აქვთ ბევრ საკითხზე. კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო პოლიტიკა, ამერიკის კომპანიათა უფლება-მოვალეობანი კანადაში და კონტროლი კანადის წყლის რესურსებისადმი, რომლებსაც ხელყოფენ ამერიკის შეერთებული შტატები. „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა შორეული ალმოსავლეთის მიმართ შეშფოთებას იწვევს კანადაში“, — წერს კორესპონდენტი. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ხანს კანადის პრემიერ-მინისტრი პირსონი შეეცადა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას, რომლებიც ატლანტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობას ნატოში. კორესპონდენტი აღნიშნავს კანადის მისწრაფებას განავითაროს ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან. განახორციელოს ეფორო დამოუკიდებელი კურსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„კანადის პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკამ კაბალურად კონტროლი კანადის ეკონომიკისადმი.

ახლა კანადის წინაშე დგას დილემა: ან დაადგეს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების გზას, ან, როგორც ზოგიერთ კანადელ მეცნიერს მიაჩნია, საბოლოო ანგარიშით, შთანთქას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხაზს უსვამს ოლესი. იგი წერს, რომ ამერიკელ ამერიკის კაბალურმა დაბინდვამ კანადაში 23 ფილიალად დოლარს მიადწია. უცხოელთა, უპირატესად ამერიკის კაპიტალი კონტროლს უწევს ნავთობისა და გაზის მრეწველობის 69 პროცენტს და სამშენებლო მასალების მრეწველობის 59 პროცენტს.

ანტიკომუნისტური პროვოკაციები ავსტრალიაში

კანბერა, 2 ივნვარი. (საკდესი). ბრისბენში (ავსტრალიის შტატი) გუშინ ცეცხლი წაუკიდეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ბიბლიოთეკის ნაწილი, ავეჯი და სხვადასხვა მოწყობილობა. იმავე დღეს სიდნეიში იუბილეის საკონსულოს შენობაში აფეთქდა ბომბი. პოლიციის ჯერ „არ მიუცია დამნაშავეთა კვალისათვის“.

მაგრამ არავის არ ეპარება ეჭვი, რომ ეს ფაქტები შემთხვევითი არ არის იმ დროს, როცა ავსტრალიის კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ სახელმწიფოებს განუწყვეტლივ უტიეენ მემარჯვენე, რეაქციული ძალები.

პარტიის ვეტერანის მ. ბულგაკოვის ბიბლიოთეკა

სამგლოვიარო მიტინგი ზითელ მოედანზე

მოსკოვი, 3 ივნვარი. (საკდესი). დღეს მოსკოვი გამოეთხოვა კომუნისტური პარტიის ვეტერანს ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე იყვნენ ამხანაგები ბ. ი. ბორონოვი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ნ. მაზუროვი, ნ. ვ. კოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. დემიჩევი, დ. ო. უსტინოვი, მ. ს. სოლომენცევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაკვლებით საგლოვიარო მიტინგი გახსნა ე. დ. სტასოვას დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. სუსლოვმა. მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე, თქვა მან, ელენე დმიტრის ასულმა სტასოვამ მოახმარა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის დიად საქმეს, კომუნიზმის საქმეს. იგი იყო სახელოვანი ლენინური გვარდიის შესანიშნავი წარმომადგენელი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის აქტიური და ერთგული თანაშემწე ჩვენი პარტიის შექმნასა და განმტკიცებაში. ბევრი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარა ელენე დმიტრის ასულმა სტასოვამ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ა. სუსლოვმა, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების პროპაგანდას. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა ადამიანების ბევრი თაობისათვის მისაბაძი იქნება.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ბ. ეგორიჩევმა და კომუნისტური პარტიის წევრმა 1910 წლიდან ა. ბ. არბუზინამ, ე. დ. სტასოვა დაკრძალეს ზითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

(საკდესი).

გოეთეს სამშობლოში

ორი ქვეყნის მეცნიერთა მეგობრობა

ამასწინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენაში იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი მ. მირიანაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ჯიქია, კიბერნეტიკის ფაკულტეტის დეკანი მოადგილე ბ. ზარაფოვი და დოცენტი ზ. ჭარხალაშვილი. დელეგაციამ ხელი მოაწერა თბილისის უნივერსიტეტსა და იენის უნივერსიტეტს შორის მეგობრობისა და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დელეგაციის წევრის ზ. ჭარხალაშვილის წერილს.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების საგანგებო-სამეცნიერო დაწესებულებებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება. უკანასკნელ წლებში ამ ურთიერთობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებებში, რომლებიც უნდა ოდეა დაიბეჭდოს. ასეთ უმაღლეს სასწავლებლებთა ძორის.

ძოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ცნობილ სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებათა შემდეგ, რომლებსაც უკვე აქვთ ამგვარი ხელშეკრულებანი მუშაობია გარკვეული გამოცდილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა ხელი მოაწერა მეგობრობისა და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისეთ ცნობილ უნივერსიტეტთან, როგორიც იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტია.

ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა, რაც განახორციელეს იენის უნივერსიტეტის დელეგაციამ (პროფესორები ჰ. კორხი, თ. ბეკერი, გ. შნაიდერი, ამბ. გ. ჰანდელი) 1966 წელს მაისში თბილისში ყოფნის დროს და თბილისის უნივერსიტეტის დელეგაციამ ჰ. იენაში ოქტომბერ-ნოემბერში. დელეგაციები საფუძვლიანად გაეცნენ ორივე უნივერსიტეტის მიღწევებს, მონახეს ის სფეროები, რომლებშიც უნდა განხორციელდეს ერთობლივი მუშაობა, განვითარდეს დაწყებული თანამშრომლობა მომავალში.

საყოველთაოდ ცნობილია იენელ მეცნიერთა მიღწევები ქიმიის, ფიზიკის, გერმანული ფილოლოგიის და სხვა დარგებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი დაინტერესებულია ამ დარგებში გაიშალოს მუშაობა. იენელ კოლეგებს კი სურთ, რაც შეიძლება მალე გაეცნონ ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიოლოგთა, ფსიქოლოგთა, ენათმეცნიერთა და სხვათა მიღწევებს.

1967 წლის შეთანხმებული გეგმით უპირატესად სწორედ ამ დარგებშია გათვალისწინებული მეცნიერ მუშაკთა გაცვლა, გაერთიანებული ძალებით სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ჩატარება. საკმაოდ ხანგრძლივი დროით თბილისში უკვე ჩამოვიდა იენის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაკი ემრიხი, რომელიც ქართველ მეცნიერთა ხელმძღვანელობით კავკასიოლოგიის სფეროში იმუშავებს და ქართულ ენას შეისწავლის.

ახლო მომავალში მოველით გერმანისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელს, დოქტორ ზუქსლანდს, რომელმაც ორი სემესტრის მანძილზე გერმანული ენა უნდა ასწავლოს დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული განყოფილების სტუდენტებს. გათვალისწინებულია ჩვენი უნივერსიტეტიდან მათემატიკოსის, ფიზიკოსის, ენათმეცნიერის, იურისტის და სხვა დარგების სპეციალისტთა გაგზავნა იენის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად, აგრეთვე რამდენიმე სტუდენტისა და ასპირანტის მივლინება პრაქტიკისა და მეცნიერული მუშაობისათვის.

მომავალ წლებში თანამშრომლობა ორ უნივერსიტეტს შორის კიდევ უფრო გაფართოვდება. შესაძლებელი იქნება სპორტული გუნდების, თვითმოქმედების კოლექტივების, დამსვენებელთა გაცვლა და ა. შ.

კიდევ უფრო მეტ დახმარებას მოელის ქართველი მეცნიერებისაგან პროფესორი გ. ბეში, რომელიც კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის საკითხებზე მუშაობს და ამავე დარგში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდას აპირებს; პროფესორი ზ. შნაიდერი გულმოდგინედ უვლის თავის პერბარიუმში საქართველოდან წაღებულ მცენარეებს და ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგიმ გაფართოებაზე ფიქრობს.

მეცნიერული თანამშრომლობის სრულიად ახალი სფერო აღმოჩნდა ერნსტ ჰეკელის სახლ-მუზეუმში, რაც იქ მის წამყვან მუშაკს, პროფესორ ვ. უშმანს ვესაუბრეთ. ცნობილია, რომ გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ერნსტ ჰეკელი სახელგანთქმული მოგზაური იყო. მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მან იმოგზაურა კავკასიაში, იყო საქართველოშიც, ინახულა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი. სახლ-მუზეუმში დაცულია ჰეკელის წერილები და ჩანაწერები მოგზაურობის ამ წლებიდან, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული. გ. უშმანის სიტყვებით, ამ მასალებში ბევრი რამ არის საინტერესო როგორც ქართველი გეოგრაფებისათვის ისე ეთნოგრაფებისათვის, გერმანელი მეცნიერი სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ მასალების შესწავლა მევრად უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ იგი საარქიო დოკუმენტებზე ქართველ სპეციალისტთან ერთად იმუშაებს.

ერნსტ ჰეკელის სახელი იენის უნივერსიტეტის ისტორიის შედარებით გვიანდელ ფურცლებს ამშვენებს. ამ ისტორიის პირველი და მომდევნო გვერდები ბევრად უფრო ძველია. რადგან ძველია თვით ქალაქი იენა და მისი უნივერსიტეტი.

პირველად იენა „იანის“ სახელწოდებით ნახსენებია ჰერსფელდის მონასტრის ნუსხაში (881-889), ხოლო 1236 წლიდან ისტორიული დოკუმენტები მას ქალაქებს შორის ასახელებენ.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში იენის უნივერსიტეტი საყოველთაოდ ცნობილი გახდა ექიმის, ქიმიკოსის, ანატომისა და ბოტანიკოსის ვერნერ როლფინკის და განსაკუთრებით მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის ერჰარდ გაიველის წყალობით, რომლის ისტორიულად პროგრესული იდეებზე აღიზარდნენ გოთფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი და გერმანული განმანათლებლობის ერთ-ერთი თეორეტიკოსი სამუელ ჰუფენდორფი.

გერმანული ლიტერატურისა და ფილოსოფიის კლასიკური პერიოდი იენის უნივერსიტეტის „კლასიკური ხანაც“ იყო. მე-17 საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან დაწყებული იენის უნივერსიტეტთან უშუალოდ დაკავშირებულია ფიხტეს, შელინგის, ჰეგელის, გოეთესა და შილერის სახელები. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ამ პერიოდის იენის მედიცინის სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ჭრისტიან ვილჰელმ ჰუფელანდი და იუსტუს ჭრისტიან ლოდერი.

დიდ ყურადღებას იჩენდა ქალაქ იენისა და მისი უნივერსიტეტისადმი გოეთე, რომელიც მაშინ ვაიმარის ჰერცოგის კარზე ცხოვრობდა, სახელმწიფო მინისტრი იყო და „მეცნიერებისა და ხელოვნების“ ძირითად დაწესებულებებზე მთავარ ზედამხედველობას ახორციელებდა. მისი ინიციატივით გაამაგრეს მდინარე ზაალეს სანაპირობები და ააგეს ჯებირები, რათა ქ. იენა დაცული ყოფილიყო წყალდიდობის დროს. საკუთრივ უნივერსიტეტისათვის 1794 წელს გოეთემ შექმნა ბოტანიკური ბაღი, რომელიც დღესაც იენელი სტუდენტების განკარგულებაშია. გოეთეს სახელთან დაკავშირებულია მეცნიერული კოლექტივების შექმნა და მათ საფუძველზე იენის უნივერსიტეტში მინერალოგიის, ქიმიის, ბოტანიკისა და ზოგიერთი სხვა დარგის განვითარება.

1787 წელს იენაში ჩამოვიდა ფრიდრიხ შილერი. მომდევნო წელს გოეთეს წინადადებით იგი უნივერსიტეტში მიიწვიეს ისტორიის პროფესორად. აქვე დაწერა მან „ოცდაათწლიანი ომის ისტორია“, „სიმღერა ზარზე“, „იბიკოსის წერილები“ და სხვ. უნივერსიტეტთან სულ ახლოს არის შილერის სახლი ბაღით, რომელშიც ქვის ცნობილი მაგიდა დგას. აქ, ამ ქვის მაგიდასთან, ხშირად ხვდებდნენ ერთმანეთს გოეთე და შილერი, „რომლებიც „ბეჭურ კარგ და მნიშვნელოვან აზრს“ ფიქრობდნენ ერთმანეთს.

1797-1799 წლების ზაფხულის თვეები სწორედ ამ სახლში გაატარა შილერმა, აქვე დაასრულა მან თავისი ნაწარმოებები „ვალენშტაინი“, „მარია სტიუარტი“, „ორლეანელი ქალწული“.

1796 წლიდან იენაში მოღვაწეობს აუგუსტ ვილჰელმ შლეგელი. სწორედ მის გარშემო იკრიბებოდნენ ფრიდრიხ ლუდვიგ ტიეი, კლემენტს ბრენტანო, ნოვალისი და სხვები, რომლებმაც რომანტიზმის მოძღვი სკოლა შექმნეს გერმანულ ლიტერატურაში.

მე-19 საუკუნის დასაწყისი კრიზისის პერიოდია იენის უნივერსიტეტში. ბევრი ცნობილი პროფესორი ქალაქიდან წავიდა. ნაპოლეონის ბრძოლებმა პრუსიის წინააღმდეგ მეორეჯერ ტალღ მძიმე გახადა ცხოვრების პირობები. დიდად დაზარალდა ქალაქი იენა, რადგან 1806 წლის ცნობილი ბრძოლები უშუალოდ მის მახლობლად მოხდა.

გერმანელი ხალხი განსაკუთრებით ამაყობს იმით, რომ იენის უნივერსიტეტში 1841 წლის 15 აპრილს კარლ მარქსს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. მარქსის შრომა „განსხვავება დემოკრიტისა და ეპიკურეს ბუნებრივფილოსოფიას შორის“ მაშინდელმა დეკანმა პროფესორმა კარლ ფრიდრიხ ბახმანმა ფაკულტეტის წევრებს გააცნო როგორც „საყურადღებო“, და მის ავტორს დაუსწრებლად, წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე დოქტორობა მიენიჭა.

ასეთია ზოგიერთი ცნობილი ფურცელი იენის უნივერსიტეტის ისტორიიდან, რომელიც 400-ზე მეტი წლისაა.

თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იენელმა მეგობრებმა უაღრესად გულთბილად მიგვიღეს. ჩვენ ყოველდღიური პირობები შეგვიქმნეს ღრმად გავეცნობოდით იენის უნივერსიტეტის მუშაობას, შევხვედროდით სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს და მათთან ერთად მოგვეფიქრა ჩვენი ერთობლივი მუშაობის გეგმა. უნივერსიტეტთან მეტი სიახლოვის მიზნით იენელმა კოლეგებმა იმ სასტუმროში მოგვათავსეს, რომელიც პირდაპირ შეჰყურებს იენის უნივერსიტეტს და საყოველთაოდ ცნობილია თავისი ისტორიული წარსულითა: აქ ცხოვრობდა ხოლმე გოეთე, სწორედ აქ შეხვდა იენელ სტუმრებს მარტინ ლუთერი.

იენა უნივერსიტეტისა და მსოფლიოში ცნობილი ცაისის ოპტიკური ქარხნების ქალაქია. ამ ორი კოლექტივის ისტორიული მეგობრობა საყოველთაოდ ცნობილია. სწორედ უნივერსიტეტთან არსებულ სახელოსნოში დაიწყო კარლ ცაისმა თავისი მოღვაწეობა. ეს იყო 1846 წელს. 1880 წელს იგი ოპტიკური ქარხნის პირველ შენობას ამთავრებს. მე-19 საუკუნის ბოლოდან კი შოტის მინის საწარმოებთან ერთად ცაისის ქარხნები ოპტიკური ინდუსტრიის ცნობილი ციტრია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ცენტრი კიდევ უფრო გაფართოვდა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ქალაქ იენაში ცაისის საწარმოთა 20 ათასამდე მუშაკი ცხოვრობს. აქედან ორი ათასამდე მეცნიერი მუშაკი თანამედროვე ოპტიკის ურთულეს საკითხებზე მუშაობს სპეციალურ სამეცნიერო ცენტრში, რომელსაც ახლახან აგებული 16-სართულიანი შენობა უჭირავს. სწორედ აქ მიგვიღო ცაისის საწარმოთა ხელმძღვანელობამ. ცაისელები უნივერსიტეტის სტუმრებს თავიანთი სტუმრებად თვლიან, რადგან იენელთა „ალმა მატერთან“ მათი ურთიერთობა უალრესად მჭიდრო და საქმიანია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ იენაში ჩასულ ქართველ ახალგაზრდა სპეციალისტებს შესაძლებლობა ექნებიათ თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე ცაისის სამეცნიერო და საწარმოო ცენტრებში აიმაღლონ, სწორედ იქ, სადაც შუადღისა ურთულესი ოპტიკური მოწყობილობანი, მათ შორის უნიკალური ელექტრომიკროსკოპი და გიგანტური სარკანი ტელესკოპი.

თბილისის უნივერსიტეტის დელეგაციისადმი დიდი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინა ერთიანი სოციალისტური პარტიის იენის ორგანიზაციის პირველმა მდივანმა ლოთარ ვებერმა და ქალაქის ობერბურგომისტრმა ვალტერ ვინდერიპმა. 5 თებერვრს მათი მოწვევით დავესწარით დიდ სალამოს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 49-ე წლისთავს მიეძღვნა. ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად ქალაქის ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე მოაწყეს მიღება. იენის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად მათ მოგვიწოდეს საქართველოს მერრე ლენინის ორდენით დაჯილდოება და დაგვავალეს თბილისის მშრომელებისათვის გადმოგვეცა იენელთა საუკეთესო სურვილები. უნდა ვქადაოთ — ამბობდნენ ისინი — ორი უნივერსიტეტის მეგობრობა ორი ქალაქის — იენისა და თბილისის — მეგობრობად გადაიზარდოსო.

თბილისისა და იენის უნივერსიტეტებს შორის მეგობრობისა და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულების საზეიმო გაფორმება სწორედ ოქტომბრის რევოლუციის დღეს — 7 ნოემბერს მოხდა ჭ. იენის რატუშაში.

ხელშეკრულების ხელმოწერას დასწრო იენის უნივერსიტეტის აკადემიური სენატი (სამეცნიერო საბჭო), ქალაქის პარტიული და პროფკავშირული აქტივი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. საზეიმოდ მორთულ დიდ დარბაზში ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე დაწერილ ხელშეკრულების ტექსტს ხელი მოაწერეს თბილისს საელჩოს მინისტრმა ვ. ბირანაშვილმა, იენის უნივერსიტეტის სახელით რექტორმა პროფესორმა ჰ. დრეფალმა. სპეციალურად მოწვეულმა გუნდმა შეასრულა რამდენიმე საგალობელი. ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ხელისმოწერის ცერემონიალი იმავე საღამოს გადასცა გერ-ის ტელევიზიამ და რადიომ, ხოლო გაზეთში „ფოლკსფანტამ“ 7 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ ქართველი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დელეგაციის წევრებთან შეხვედრის ამსახველი ფოტო. ინტერვიუს ერთ ნაწილს გაზეთის მუშაკმა ასეთი სათაური გაუკეთა — „თეორინგია — მინიატურული საქართველო“. ეს სიტყვები ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს ეკუთვნის. ქალაქი იენა, თურინგიის მხარე, მისი ცნობილი მთებითა და ტყეებით მართლაც „მინიატურულია“ საქართველოსა და კავკასიასთან შედარებით. მაგრამ ინელთა ბოლომ და სტუმრმოყვარეობამ ჩვენს თვალში იმდენად აამაღლა მთელი ეს მხარე და

ჯილდო 24 წლის შემდეგ

მახარაძე. (საკ. კორ.). ეს იყო დიდი სამამულო ომის წლებში... ძიმითელი შალვა ხინიკაძე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსიდან გაიწვიეს ჯარში. მტერი კავკასიონს მოადგა... შ. ხინიკაძემ სხვა მამაც მებრძოლებთან ერთად თავი ისახელა ერთ-ერთი გადამწყვეტი მაღლობის დაცვაში. გერმანელი ფაშისტები რადენჯერმე მოიგერიეს და უშუალციეს. მაშინ ის მთავრობის ჯილდოზე წარადგინეს. გავიდა წლები, დამთავრდა სამამულო ომი, შალვა შინ დაბრუნდა. ამჟამად იგი ანასეულის საშუალო სკოლაში ასწავლის.

ამ დღეებში, საბრძოლო „ნათლობიდან" 24 წლის გასვლის შემდეგ, შალვა ხინიკაძეს გადაეცა მთავრობის ჯილდო — მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის".

ციხელაშვილების კორესპონდენცია

ქალაქ ხაშურში ბევრი იცნობს ციხელაშვილების ოჯახს. ოჯახის უფროსი კასო 48 წელია ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზას ემსახურება. შვილები — ოთარი და თამაზი მამის კვალს დაადგნენ. ციხელაშვილები ცნობილი არიან როგორც შრომისმოყვარე ადამიანები. ყოველივე ახლისა და საინტერესოს მქადაგებელნი.

რა საკითხზეც უნდა ესაუბროთ მათ, მზარს აკიბამენ. დიდი და მრავალფეროვანია მათი კორესპონდენცია: „პრავდა", „იზვესტია", „კომუნისტი", „გუდოკი", „საქართველოს ქალი", „საბჭოთა ხელოვნება", „ნიანგი", „ტეხნიკა მოლოდიეჟი" და სხვ. — აი რა „ტკერთით" ესტუმრება ხოლმე მათ ფოსტალიონი.

ჟურნალ-გაზეთები დიდ დახმარებას უწევენ მამა-შვილ ციხელაშვილებს შრომითს და პირად ცხოვრებაში. ახალი წლიდან რკინიგზელთა ოჯახი 23 დასახელების ჟურნალ-გაზეთებს უბეჭდავს.

ა. იასნოვიჩი.

ტელევიზორები სოფლად

ტელევიზორები ფართოდ მკვიდრდება მშრომელთა ოჯახებში. ცხინვალის რაიონში დღემდე დადგმულია 1500-მდე ტელევიზორი, მათ შორის 400 სოფლად.

სოფელ ეროფათში ბევრ ოჯახს აქვს ტელევიზორი.

ტელევიზორებს მასობრივად იღებენ ფოცხოს, ეკის, ძველი ხენაკის, ნოსირისა და მენჯის მშრომელები.

ს. კუბაკა.

ესეც ახალი წლის 4 იანვარი. ზამთრის შუაგული. ვერც 1967 წელმა მოგვიტანა თბილისელებს თოვლი. სანატრელი გაგვიხადა თეთრ საბანში გახვეული ჩვენი პროსპექტებისა და მოედნების ხილვა, ჰაერში მოფარფატე თოვლის ფანტელები, ზამთრისათვის დამახასიათებელი სუფთა, ჯანსაღი ჰაერი, როცა ადამიანები სიამოვნებით გამოდიან გარეთ, გამოჰყავთ პატარები, მათთან ერთად გუნდაობენ, დასრიალებენ ცოგებით, თხილამურებით, ყოველივე ეს მხოლოდ მოგონებად რჩება.

უთოვლოდ მიდის ზამთარი, — ხშირად გაიგონებთ ახლა თბილისელებისაგან. მაგრამ განა მარტო აქ არის ასე? ამა გახედეთ შავი ზღვის პირს გაგრის მიდამოს (სურათი 1). როგორ ამწვანებულა ყველაფერი. მხოლოდ კალენდარი გატყობინებთ, რომ ახლა იანვარია.

ასევეა საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისშიც (სურ. 3), ხანამ მანქანა მთათა სამფლობელოსკენ ავა.

ივრის ხეობაში კი (სურათი 2) ზამთარი ძალაშია. პატარძლებივით მორთულან ხეები, მიწასაც თოვლის საბანი წამოუსხამს. ახალ გაზრდებს დრო დაუდგათ ისრიალონ თოვლში, დაკბენენ ზამთრის მშვენებით. ახლა მათთვის ხომ საზამთრო არდადეგები დაიწყო.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდისი), თ. ფურცხვანიძისა და ვ. ყუშიტაშვილისა.



სასკოლო მუზეუმებში

საინტერესო ნაპოვნი

ბიათურა. (საკ. კორ.). ექვსასზე მეტი ექსპონატია სოფელ რგანის ხაბავშვო სახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც სიძველეთა მოყვარული მადაროელის გოდერძი სამხარაძის თაოსნობით არის შექმნილი. აქ არის ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის იარაღები, სამკაულები. აქვეა 500-მდე სხვადასხვა მონეტა, უძველესი ხელნაწერები, ნასყიდობანი.

ახლახან მუზეუმს საინტერესო ექსპონატები შეემატა. სოფელ რგანში, სამხარაძეების უბანში, ერთ-ერთი საკარმიდამო მიწის დამუშავებისას აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხელის მტევანი, ჯიბეის თავი, შუბის წვერი. იქვე აღმოჩნდა სასმელი წყლის მილგაყვანილობა და სხვ. ამავე უბანში შარშან იპოვნეს ბრინჯაოს ორი მოზრდილი ბალთა ცხოველთა გამოსახულებებით.

მოსწავლეების ხელით

ტყიბული. (საკ. კორ). კარგი საქმე გააკეთეს ქალაქის მეექვსე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მდიდარი ექსპონატები შეაგროვეს და სკოლაში მუზეუმი გახსნეს.

სასკოლო მუზეუმი ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება ეძღვნება თემას — „ჩვენი სკოლის ისტორია". მეორე განყოფილებაში მოთავსებულია მრავალი საშუზეუმო ექსპონატი. ყურადღებას იპყრობს მოსწავლეთა ხელით დამზადებული ძველი ოკრიბოული ქოხი. ავრეთვე ბელთისა და ნიკორწმინდის მონასტრების მაკეტები.

ახალი ამბები

პროფკავშირული კომიტეტების ბიულეტენი

გამოცდილების გაზიარების მიზნით

თბილისის სახლთსაშენებელი კომბინატისა და რკინიბეტონის ნაწარმის ქარხნის, ქუთაისისა და რუსთავის დიდბანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნების 40 მოწინავე მუშა და სპეციალისტი წავა კიევში, მინსკში, ტალინსა და რიგაში. უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიისა და ესტონეთის სამშენებლო ორგანიზაციათა დღღებითი გამოცდილების შესასწავლად.

საზოგადოებრივი კონტროლი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შექმნეს თბილისის ქალაქის ტრანსპორტის მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის საქალაქო კომისია. კომისიის შემადგენლობაში არიან პროფსაბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროების, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, უმაღლესი სასწავლებლების, სტუდენტთა ქალაქის, დიდ სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირული კომიტეტების წარმომადგენლები.

სახელი შეეცვალათ

პროფკავშირთა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო რესპუბლიკურ კომიტეტს ამერიდან ეწოდება საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ვ. ყიფიანი.

საქართველოს ავიამუშაკთა პროფკავშირის ტერიტორიულ კომიტეტს ამერიდან ეწოდება საქართველოს ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ი. ბურჯული.

თვითმოქმედი კინოსტუდიების ხელმძღვანელთა სემინარი

საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოს ალმასკომმა საკავშირო პროფსაბჭოს დავალებით თბილისში მოაწყო თვითმოქმედი კინოსტუდიების ხელმძღვანელთა ჯგუფური სემინარი. სემინარის მუშაობა ექვს დღეს გაგრძელდება.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, როსტოვის ოლქის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-მალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ღ ა ყ ა რ ო!

მს სიტყვა მუდამ დაუშრეტელი ძალის სიმბოლოდ ითვლებოდა. ადამიანი ოდითგანვე წყაროს უწოდებდა სინათლეს, ბედნიერებას, სიუხვის, ცოდნის დამბადებელსა და წარმომშობს. აკი ამიტომაც ამბობს ხალხი, სინათლის წყარო, ბედნიერების წყარო, სიუხვის წყაროო...

ახლა მიწის წიაღისა და ზეცის ნაკადის პირმშოს, მაცოცხლებელ ანკარა ცივ წყაროს არ იკითხავთ? იგი ხომ ხშირად მოსახლთა შთაგონების წყაროც გამხდარა, მხატვრებსაც ბევრჯერ დაუხატავთ გულნაზი იის გვერდით.

მართლაც რაოდენი სიხარულისა და ნეტარების მომნიჭებელია ყინულის ნაყურივით ცივი წყლის ნაკადი, რომელსაც გულში სიხარულისა და ბედნიერების მოტანის სურვილის მეტი არა აქვს რა... მოხტის, მოცქრიალებს სიპ ქვებზე, მოიჭღერის და, რომ იტყვიან, სწორედ თვალსა და გულს ახარებს.

სწორედ ასეთად წარმომიდგენია „ნაჭალაქარის" წყლის ნაკადის ტოტი, რომელსაც გამრჯე მარჯვენამ ხალხის სამსახურად მოუხმო. ვინ მოთვლის, რამდენის გული აავსო სიხარულით მონდომებული შრომის ნაყოფმა!

მართალია, თელავში ცოტა როდი იყო წყარო, მაგრამ თელაველებს წყალი თითქმის ყოველთვის აკლდათ. მოშიშინე ოჯახებთან მუდამ მწკრივად იდგნენ — სურები, დოქები, ლიტრები, მთელ დღეს წყლის მოლოდინში აღამებდნენ.

ბრძენს უთქვამს, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო. მიწის „შიგან" მართლაც ბევრი ანკარა წყაროა იყო, მაგრამ სანამ ადამიანის მარჯვენა არ შეეხო, თავისით „წარმოდინება" არ ისურვა.

ახლა კი... რაღა გვეთქმის მხურვალე მადლობის მეტი, ვხარობთ, ვზეიმობთ. ჩვენ ჩემი პატარა სიტყვით სიხარული მინდა გამოვხატო.

მადლობა იმ მშრომელ, დაკოჭრილ ხელებს, რომელთა წყალობითაც შექმნილია ქვეყნად ყოველგვარი სიკეთისა და ბედნიერების წყარო.

დღეიდან თელავის მიწის გულში ჩამარხულ მილებში წყლის ახალი ნაკადი ჩქრიალებს და ირაკრაკებს. ამ საამო ჩქრიალ-ჩაკრაკს ბევრი თელაველი თავის სამადლობელს შეუერთებს. ჩემი ხმაც იმ სამადლობელშია.

ლ. ყაჯრიშვილი,
თელავის მესამე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

აკადემიკოსი ალექსანდრე ოპარინი.

ახლა ჩვენს თავს უნდა მივცეთ კითხვა, რის მიცემა შეუძლია ბიოლოგიისათვის, სიცოცხლის შემეცნებისათვის ისეთი, ერთი შეხედვით უსიცოცხლო, სხეულის უშუალო კვლევას, როგორიც მთვარეა.

ის ფაქტორები, რომლებზეც შეიძლება ვიმსჯელოთ წინანდელი მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე მთვარის ავტომატური სადგურების დახმარებით მიღებული მონაცემების საფუძველზე, გვიჩვენებენ, რომ მთვარის ზედაპირის პირობები — ის, რომ იქ არ არის ატმოსფერო და თავისუფალი წყალი, რომ მკვეთრია ტემპერატურათა ცვლა, ძლიერია ულტრაიისფერი და კოსმოსური მოსხივება, — დამდუპველი იქნებოდა ყოველი მიწიერი ცოცხალი არსებისათვის, ჩვენში ცნობილი ყოველი ორგანიზმისათვის, თუ ეს ორგანიზმი სპეციალური საშუალებებით არ იქნება დაცული.

მაგრამ შეიძლება კატეგორიულად ვამტკიცოთ, რომ მთვარე უსიცოცხლოა, რომ ვერ მოვიღებთ ვერავითარ ცნობებს იმის შესახებ, იქ სიცოცხლე არის თუ არა?

ეს სწორი არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ სიცოცხლეს შესწევს უნარი, ერთხელ, თუ გაჩნდა, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით შეეგუოს გარეშე პირობებს. შეგუების ამ უნარის ზღვარს წარმოდგენა ძალიან ძნელია. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჩვენს დედამიწაზე სიცოცხლე არ არსებობს ხმელეთზე, მატერიკებზე, არსებობს მხოლოდ ზღვებსა და ოკეანეებში. როგორც ეს კიდევაც იყო ჩვენი პლანეტის არსებობის გარკვეულ პერიოდში. ამ პირობებში მეტად ძნელი იქნებოდა დაგვშვა რომ ხმელეთზე სიცოცხლე შესაძლებელია.

რა თქმა უნდა, რამდენადაც სიცოცხლე მატერიის მოძრაობის იხეთი ფორმაა, რომელიც კანონზომიერად ჩნდება მატერიის განვითარების ჯარკვეულ სტადიებზე, როცა ამისათვის იქმნება შესაფერისი პირობები, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ იქნება ახლა თუ არა, მთვარის არსებობის წარსულ პერიოდებში იქ შეიძლებოდა წარმოშობილიყო სიცოცხლე. მას შეეძლო შეგუებოდა ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის მკაცრ პირობებს, ვთქვათ, მთვარის ზედაპირიდან მისი გრუნტის სიღრმეში წასვლის გზით. იქ ტემპერატურის რყევა ნაკლებია, ბუნებრივი დაცვაა რადიაციისაგან. იქნებ არის წყალიც ამა თუ იმ მდგომარეობაში.

შემდგომი კვლევის დროს რომ აღმოგვეჩინა მთვარეზე სიცოცხლე, თუნდაც ძალიან პრიმიტიული, ან თუნდაც ამ სიცოცხლის მხოლოდ ნაშთები, ვთქვათ დაღუპული ორგანიზმები, ეს ძალიან ბევრ რამეს მოგვცემდა სიცოცხლის არსის შესაცნობად. ახლა ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ჩვენს, მიწიურ სიცოცხლეს. იმ სიცოცხლის ნაშთები, რომელიც სხვა პირობებში ვითარდებოდა, შესაძლებლობას მოგვცემდა გვემსჯელა იმაზე, თუ რა არის ჩვენს მიწიურ სიცოცხლეში ძირითადი და რა არის შემთხვევითი ან მეორადი.

მაგრამ ჩვენს ბუნებრივ თანამგზავრზე სიცოცხლის არავითარი ნიშანიც რომ არ აღმოჩნდეს, მთვარის შესწავლას მაინც ძალიან ბევრი რამის მოცემა შეუძლია სიცოცხლის შემეცნებისათვის.

საქმე ის არის, რომ ჩვენს დედამიწაზე სიცოცხლე წარმოიშვა ნახშირბადოვან შენაერთთა ევოლუციის შედეგად. ამასთან ამ ევოლუციამ მთელი რიგი სტადიები განვლო, და მისი დასაწყისი ეტაპები — ყველაზე პრიმიტიული ნახშირბადოვანი შენაერთების — ნახშირწყალბადების წარმოშობა და გარდაქმნა უაღრესად უნივერსალურია.

ეს პირველი სტადია, შეიძლება კიფიქროთ, მთვარესაც ახასიათებს.

ენდოგენურად — ვულკანური მოქმედების შედეგად წარმოიშვნენ ეს ნივთიერებანი თუ მიტანილი არიან მეტეორიტებით — ნახშიროვანი ხონდრიტებით, ეს ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ როგორც უნდა მომხდარიყო ეს, ისინი იქ უნდა არსებობდნენ. დღემდე ყველა არამიწიერი ობიექტიდან ჩვენთვის ცნობილია ნახშირბადოვან შენაერთთა ევოლუცია მხოლოდ მეტეორიტებზე — ნახშიროვან ხონდრიტებზე, სადაც ვპოულობთ არა მარტო უმარტივეს პრიმიტიულ ნახშირწყალბადებს და არა მარტო ნახშირწყალბადების პოლიმერებს. საბჭოთა მეცნიერმა გენადი ვდოვიკინმა აღნიშნა, რომ აქ ბევრი ორგანული შენაერთია, კერძოდ, გამოირკვა ამინმჟავების არსებობა. არის ზოგიერთი გამოკვლევა, რომლებიც მიგვითითებს ნახშიროვან ხონდრიტებში ნუკლეოტიდების წარმოქმნის შესაძლებლობაზე.

რამდენიმე წლის წინათ დიდი ხმაური ატეხეს მთელმა რიგმა ავტორებმა, რომლებმაც ვარაუდი გამოთქვეს, რომ მეტეორიტების ორგანული ნივთიერებანი ბიოგენური წარმოშობის ნივთიერებებია. მაგრამ ახლა ეს დებულება შეიძლება თავმინებებულად ჩაითვალოს. სრული გარკვეულობით დამტკიცებულია ამ ნივთიერებათა აბიოგენური წარმოქმნა.

ის ნივთიერებანი, რომლებიც ნადიში აღმოაჩინეს მთელ რიგ ნახშიროვან მეტეორიტებში, წარმოადგენენ ან მინერალურ წარმონაქმნებს, ან მიწიერ დამნინებოვნებლებს, უფრო ხშირად კი — ორგანულ წარმონაქმნებს, რომლებსაც სრულიად აბიოგენური წარმოშობა აქვთ.

ამას წინათ პარიზში დემონსტრირებულ იქნა მიკროსფეროები, რომლებიც სრულებით განსხვავდებიან ნადიის წარმონაქმნებისაგან, მაგრამ რომლებიც უბრალოდ მიიღება ამინმჟავების ნარევის გათბობით მაღალ ტემპერატურამდე.

ამრიგად, ჩემი აზრით, მთვარეზე ორგანული ნივთიერებები შესაძლებელია. იქ ისინი გარკვეულ ევოლუციას უნდა განიცდიდნენ. რა სტადიამდე მივიდა ეს ევოლუცია? ცილისმსგავსთა და ნუკლეინისმსგავსთა ტიპის მაღალპოლიმერულ ორგანულ შენაერთთა წარმოქმნამდე მივიდა იგი თუ უფრო ადრინდელ სტადიაზე შეჩერდა — ეს ძალიან არსებითი საკითხია.

რა თქმა უნდა, დედამიწის პირობებში ასეთი ევოლუცია აუცილებლად მოითხოვდა თავისუფალი წყლის არსებობას. ის არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო უპიდრისფეროდ. მაგრამ როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო სხვა პირობებში, ამის თქმა ძნელია.

მე მიმაჩნია, რომ დედამიწისგარე ორგანული ნივთიერებებისა და მათი ევოლუციის უშუალო კვლევას სხვა პლანეტებსა და ჩვენს თანამგზავრზე ძალიან ბევრი რამის მოცემა შეუძლია იმ გზების შესაცნობად, რომლებთაც მიმდინარეობდა სიცოცხლის წარმოშობა, და სიცოცხლის თვით არსის შესაცნობად.

(ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ვინიპეგში (კანადა) მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი შაბიან ჭოკეში მიღებული ქანადის კონფედერაციის დაარსების 100 წლისთავისადმი. გაიმართა მასპინძლებისა აქ გამოდიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ეს არის ძალთა უკანასკნელი შემოწმება. ამ ტურნირს სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მომავალი პირველობის პრიზიორებად სწორედ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და კანადის გუნდებს თვლიან.

სტარტზე კანადელებმა დაამარცხეს გასული ჩემპიონატის პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის გუნდი 5:3. საბჭოთა კავშირის ნაკრებს კი პაექრობა ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტებთან. მატჩი აღინიშნა საბჭოთა ნაკრების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:1. მორიგ მატჩს საბჭოთა ჰოკეისტები გამართავენ დღეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეებმა გაიარეს დისტანციის მეხუთედი, უკან დარჩა ოთხი მძაფრი და შემოქმედებითი ტური. განვლილმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ სპირნო ადგილებისათვის, აგრეთვე საზონათშორისო ტურნირის ოთხი საგზურისათვის ბრძოლა უჩვეულო იქნება.

როგორც ცნობილია, ტურნირის მონაწილეები კვირაში ოთხ ტურს თამაშობენ. ყოველი ორი ტურის შემდეგ ეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, რომელსაც მეტი სიცხადე შეაქვს სატურნირო ცხრილში.

გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. სსრ კავშირის ჩემპიონის შტეინისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სმისლოვის პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში და შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. გროსმაისტერმა სმისლოვმა მეორე პარტიაც ყაიმით დამთავრა ნიკოლაევსკისთან. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული გროსმაისტერების პოლუგაევსკისა და კორჩნოის პარტიაში.

როგორც ვიუწყებოდით სავონისა და გურგენიძის პარტია გადადებული იყო ქართველი მოკადრაკის უპირატესობით. პარტიის განახლების შემდეგაც გურგენიძე ინარჩუნებდა მოგების შანსებს, მაგრამ მან ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება და იძულებული გახდა ყაიმს დახმარებოდა.

ტაიმანოვი ბრძოლის განუახლებლად დანებდა კორჩნოიუსს, სუეტინმა მოუგო პოლუგაევსკისს, გელერგამ—შტეინს.

ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან გროსმაისტერი კორჩნოიუსი და საერთაშორისო ოსტატი ლეინი, რომლებსაც სამ-სამი ქულა აქვთ; ორნახევარ-ორნახევარი ქულა შეაგროვეს შტეინმა, ბრონშტეინმა, კორჩნოიმ, ხოლმოვმა, გიასლისმა და სუეტინმა.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

რეკორდებით დაიწყეს...

ოსლო, 3 იანვარი. (საკადესი). საბჭოთა მოცეგუთავეების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საახალწლო ტურნირი ნორვეგიის „ბიშლეტის" საცეგურაოზე. მთ გუშინ საღამოს ორი ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. 1.500 მეტრზე ამსოლუტური რეკორდი დაამყარა მინსკელმა ედუარდ მატუსევიჩმა — 2 წუთი და 05,6 წამი (ძველი შედეგი — 2.06.3 — უჩვენა კუიბიშეველმა ლევ ზაიცევმა 1964 წელს მედეოს მაღალი მთის საცეგურაოზე). ბარის საცეგურაოებისათვის 10.000 მეტრზე საკავშირო რეკორდი დაამყარა ირკუტსკელმა სტანისლავ სელიანინმა — 15 წუთი და 50,8 წამი (მან 0,6 წამით გაუსწრო თავისივე რეკორდი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაზე დაამყარა).

ჩვენმა ბიჭებმა ოთხიდან სამი დისტანციი მოიგეს (გარდა 5.000 მეტრისა) და კლასიკურ მარათონში დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები: 23 წლის მოსკოველმა ვალერი კაპლანმა 179,227 ქულით და ედუარდ მატუსევიჩმა — 179,962 ქულით. საბჭოთა ლეტმა მხოლოდ მესამე ადგილი დაუთმო მსოფლიოს ჩემპიონს — ჰოლანდიელ კეეს ვერკერკს (180,180). მეოთხე ადგილზე გამოვიდა სვედელოვსკელი ვალერი ჩაგინი (180,630), რომელმაც გაუსწრო მსოფლიო რეკორდსმენს ნორვეგიელ ფრედ მაიერს (181,662), ევროპის ჩემპიონს ჰოლანდიელ არდ სხნეკს (181,855) და ნორვეგიის ჩემპიონს სვენ სტიანსენს (182,217). პირადი მიღწევებით სელიანინმა მერვე ადგილი დაიკავა—183,600, ხოლო ალმა-ატელმა ალექსანდრე ვერჩენკომ — მეათე ადგილი — 183,637.

კელე მეორე ადგილზე

„პრენსა ლატინას" სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთ ამერიკის 1966 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს ეკვადორელი სპორტსმენი ალბერტო სპენსერი. ბრაზილიელთა „ზეი ზარგალიტი" კელე მეორე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო ურუგვაელი პედრო რონა — მესამეზე. ათეულში ბოლო ადგილი დაიკავა არგენტინელმა ლუის პარტიმემ, რომელიც ამ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

XXXIV 1967 Kombinati

ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ მორი გ ᲒᲔᲑᲗᲣᲗᲝ ᲗᲣᲠᲘ.

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო გუშინ. მიმდინარეობს დამთავრებული პარტიის გარჩევა. სხედან (მარცხნიდან) ვ. კორჩნოი. მ. ტალი, ნ. გაფრინდაშვილი, ს. ფლორი; დგანან — ა. გიასლისი და ვ. დოროშკევიჩი.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲐ

გუშინ საქართველოში იდგა მცირე ღრუბლიანი მშრალი ამინდი, ქროდა სუსტი ქარი. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: ბათუმში, გუდაუთში, სამტრედიასა და ქუთაისში — 14, ფოთში, გაგრასა და ცხაკაიაში — 13, ქობულეთსა და სოხუმში — 12, ცაგერში — 10, თბილისში — 8 გრადუსი სითბო, ხოლო ახალქალაქში — 1 გრადუსი ყინვა.

დღეს საქართველოში კვლავ მშრალი ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში 10-14, მთაში კი 5-10 გრადუსი იქნება; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 4-8, ხოლო მთაში — 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო.

თბილისში მცირე მოღრუბლულობას უნდა ველოდოთ, უნალექოდ, დაუბერავს სუსტი ქარი, თერმომეტრი 6-8 გრადუს სითბოს უჩვენებს.

ᲛᲔᲝᲪᲔ ᲬᲚᲘᲡ

მრავალრიცხოვან ოჯახებს შორის ალბათ ერთ-ერთი უიშვიათესია კალიფორნიაში (ამერიკის შეერთებული შტატები) მეზოგორები ცოლქმრის პარნელების ოჯახი. „ნეფელიას" ცნობით. მათ ამას წინათ შეეძინათ მეცხე შვილი. დედა 42, ხოლო მამა 51 წლისაა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲙᲘ

Ჯ. Ნ. ᲯᲘᲥᲘᲐ — ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკის და ჰიდრონაგებობათა კათედრის დოცენტმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა პარმენ ივანისძე ჯიქიამ ამავე ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „წყლის ხარჯის განსაზღვრა ჰიდრავლიკური მეთოდით მთის ბუნებრივ ნაკადებში".

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-93.
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ 00607
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

17.45 — გადაცემათა პროგრამა. 17.50 — მოსწავლეთათვის „ზეიმი ყინულზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — მოსწავლეთათვის — „ქართული მხატვრული ფილმი „მანანა", 19.35 — განცხადებები, 19.40 — კონონარკვეი. 19.50 — „ფეზეულტურა და სპორტი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „სიმფონია". 21.00 — საერთაშორისო მიმოხილვა (სტუდიაში ა. ჯავლიანი), 21.20 — კონონარკვეი. 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — მხატვრული ფილმი „რაშელნმა წყალმა ჩაიარა" (მეორე სერია). 22.55 — გადაცემათა პროგრამა 5 იანვრისათვის, 23.00 — ჩაისტრადო კონცერტი (გადმოცემა მიხსკიდან).

5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

11.00 — კონონარკვეი, 11.20 — გერმანული მხატვრული ფილმი „ალასკის მელიები", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თოჯინების თეატრის სპექტაკლი „ჭანჭიკელა", 18.50 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზამთრის მუხა", 19.10 — განცხადებები, 19.15 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „კოლხეთის მიწაზე" (ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობა), 19.30 — „მსოფლიო დღეს" (გადმოცემა მოსკოვიდან). 20.00 — გადაცემა — „სახელოვანი სპორტსმენები". გურამ სულაძე, 20.15 — კონონარკვეი. 20.25 — მუსიკალური გადაცემა — „ქართული ბანგები რუს კომპოზიტორთა შემოქმედებაში", 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.05 — „გერმანული მხატვრული ფილმი „ალასკის მელიები". 22.40 — გადაცემა — „გამოჩენილი ამერიკელი მულტიმილიონერი ოლტ დისნეი".

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 11 ს. საღამოს 17 ს. 40 წ.

ᲙᲘᲜᲝ

4 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

რუსთაველის სახელობის — **შანტეკლერის დედოფალი,** ამერიკანი—**ჩემი სიხულელის ისტორია,** ოქტომბერი—**სამი ბღენძი,** ისანი, საქართველო (წითელ დარბაზი), ნაკადული — **რესპუბლიკა შკიდი,** თბილისი — **სამი მუშკეტერი,** კომკავშირელი — **შეხვედრა წარსულთან,** კოლხიდა, კოსმოსი, კოლმეურნე, ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **მოკვდეს ჯაფარა,** 26 კომისრის სახელობ